სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2012 წლის 13 მარტი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ნოემბრის №38 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ზედელაშვილი

დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო (შემდგომ – ტერიტორიული ორგანო) იქმნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების კავშირს მოსახლეობასთან ურთიერთობის ოპტიმიზაციის მიზნით.
2. ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. ტერიტორიული ორგანო არ არის იურიდიული პირი. აქვს საკუთარი ბეჭედი, ბლანკი და შტამპი.
4. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

მუხლი 2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტები, გამგეობის დებულება და აღნიშნული დებულება.
2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.
3. ტერიტორიული ორგანო თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია გამგებლის და საკრებულოს წინაშე.

4. ტერიტორიული ორგანოს მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება განისაზღრება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა.

მუხლი 3. ტერიტორიული ორგანოების ფუნქციები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის ურთიერთობის უზრუნველყოფის სფეროში ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ურთიერთობა საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

ბ) უზრუნველყოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაცნობა;

გ) მიიღოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეები, უზრუნველყოს მათი კომუნიკაცია თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან;

დ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობის გამოკითხვას და საჯარო განხილვების ჩატარებას; მოსახლეობასთან თვითმმართველი თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრების შეხვედრას;

ე) უზრუნველყოს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოსახლეობის წინადადებების, შენიშვნებისა და განცხადებების აღრიცხვა და მისი მიწოდება თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის;

ვ) გასცეს მოქალაქეებზე კანონით გათვალისწინებული ცნობები.

ზ) მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების, საკრებულოს სხდომების დღის წესრიგის და ჩატარების თარიღის შესახებ;

თ) უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირებულობა ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ;

ი) უზრუნველყოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების მონაწილეობა ადმინისტრაციულ ერთეულში დასაგეგმი მუნიციპალური პროგრამების, პროექტების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში;

კ) იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც არ არის ნოტარიუსი, უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მიერ „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სანოტარო მოქმედებათა განხორციელებას;

ლ) უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, წინადადებების მომზადება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობის და საჯარო განხილვის ორგანიზება; ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობისაგან გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია და გამგებლისათვის მათი მიწოდება;

ბ) წინადადებების მომზადება ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღება-გაუქმების და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

გ) წინადადებების მომზადება ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტიციების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ;

დ) კონტროლის გაწევა ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის შესახებ; შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ე) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქეებისა და გამგეობის ინფორმირებას ადმინისტრაციულ ერთეულში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

3. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში განეკუთვნება:

ა) ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ;

ბ)მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაგეგმი დოკუმენტაციის მომზადებაში;

გ) კოორდინაციის გაწევა ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში;

დ) ორგანიზების გაწევა ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაში;

ე) გამგებლისადმი ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ვ) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. ქონების მართვის სფეროში ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესის საკითხებზე;

ბ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ქონების დაცვას და მიზნობრივ გამოყენებას;

გ) წინადადებების, რეკომენდაციების და დასკვნების მომზადება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

დ) მოსახლეობის ინფორმირება ადმინისტრაციულ ერთეულში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

5. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციებს სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დაგეგმარების, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში განეკუთვნება :

ა) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგვმაში;

ბ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის მიწათწარმოების გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის, აგრეთვე სხვა მშენებლობითი დოკუმენტების შემუშევებაში;

გ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზება;

ე) ზედამხედველობა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობაზე;

ვ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში;

ზ) კონტროლი შენობათა ფასადების მოვლაზე და რეკლამების განთავსებაზე, ქუჩების, ტროტუარების და მოედნების დასუფთავების ორგანიზებაზე;

თ) ღონისძიებათა გატარება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის.

ი) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

6. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციებს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კომუნალური მეურნეობის სფეროში განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება სატრანსპორტო სისტემის და ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში;

ბ) გზების, ტროტუარების, მოედნების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის მოვლა-პატრონობა;

გ) მონაწილეობის მიღება სატრანსპორტო სისტემისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

ე) საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებაზე ზედამხედველობა;

ვ) კონტროლი სავაჭრო კვებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების მიერ ვაჭრობის წესების, სანიტარიული მდგომარეობის და უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

ზ) დასახლებებში ელექტროფიკაციის, გაზმომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგების, ნაგვის შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა კოორდინაცია;

თ) კონტროლი საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის და კომუნალური მეურნეობის ჯეროვან გამოყენებაზე;

ი) გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

7. განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციებს განეკუთვნება:

ა) კულტურის და სპორტის ღონისძიებათა ორგანიზება;

ბ) კონტროლი კულტურისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვაზე;

გ) მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დაცვის უზრუნველყოფა, კონტროლი დადგენილი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვაზე;

დ) მონაწილეობის მიღება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავებაში; კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას;

ე) იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზება, რომელთა დახმარებაც ხდება ბიუჯეტიდან;

ვ) გამგეობის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

8. მართლწესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში ტერიტორიული ორგანოს ფუნქციებს განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მეზობლური და ოჯახური დავის რეგულირების საკითხებში;

ბ) მონაწილეობის მიღება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-სასწავლო შეკრებების ჩატარების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

გ) კატასტროფების, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციისა და აღკვეთის უზრუნველყოფა;

ე) გამგეობის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

თავი II. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული

მუხლი 4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული (შემდგომში რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც თანმდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან

ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტისა;

2. რწმუნებული თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

3. კომპეტენციის ფარგლებში რწმუნებული საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით დადგენილი წესით

ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანო საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

გ) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვების, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;

ვ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვას და სახალხო განხილვების ჩატარებას;

ზ) მოქალაქეებზე გასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცნობებს;

თ) მონაწილეობს ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და გამგებლისათვის მათ მიწოდებას;

ი) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს გამგებელს და საკრებულოს;

კ) ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების მიზნობრივი პროგრამების შესახებ, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას;

ლ) მონაწილეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საფინანსო ბალანსების, ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სხვა დოკუმენტების მომზადებაში;

მ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;

ნ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

ო) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, ქუჩების დასახელებების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

პ) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის დაცვით ტერიტორიული დაგეგვმის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ჟ) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

რ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო -სასწავლო შეკრებების ჩატარების, სამხედრო პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

ს) ასრულებს „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

4. რწმუნებული ვალდებულია პერიოდულად, დადგენილი ფორმით, წარუდგინოს გამგებელს ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში:

ა) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;

ბ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში დაბადებისა და გარდაცვალების მდგომარეობის შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთებზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის შესახებ;

დ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ.

5. რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

6. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

7. რწმუნებულის საქმიანობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ტერიოტორიულ ორგანოში ინიშნებიან გამგეობის სხვა მოსამსახურეები, რომელთა რაოდენობა და რანგირება ადმინისტრაციული ერთეულის ფართობის, მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

8. რწმუნებულს აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკი, რომელთა გამოყენების წესი განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით.

9. რწმუნებულის მიერ თანამდებობრივ უფლებამოსილებათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას, გამგებლის დავალებით, ასრულებს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი მოხელე.